საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 19 02/04/2018

დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა #46 - ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის პირველ სართულზე არსებული 51. 83 კვმ. ფართის (ს/კ 36.01.33.017.01/502) არსებობის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის,
საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის უჩა #46 - ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 51. 83 კვმ. ფართის (ს/კ 36.01.33.017.01/502) არსებობის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გადაცემის თაობაზე.
მუხლი 2.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.
მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე